მადონა სამნიძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
Msamnidze1975@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.52

პიროვნული და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა მოსწავლეებში

საკვანძო სიტყვები: მოლაპარაკება, დარწმუნება, ემოციების მართვა, პრობლემების მოგვარება, ერთმანეთის აზრის მოსმენა და გათვალისწინება.

ოჯახი ბავშვის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მშობლის შემდეგ ბავშვის სწორად აღზრდა სკოლასა და მასწავლებლებს ევალება.კარგი სკოლა წარმატებული განათლების საწინდარია, ნელსონ მანდელა ამბობდა: ,, განათლება დიდებული საშუალებაა პიროვნების განვითარებისათვის. სწორედ განათლების წყალობით შეიძლება გახდეს გლეხის შვილი – ექიმი, მეშახტის შვილი– შახტის დირექტორი, ფერმერის შვილი– ქვეყნის პრეზიდენტი.“

სოციალური განვითარება მოიცავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას, რაც ადრეული ასაკიდან იწყება. სახლის უსაფრთხო გარემოდან სკოლაში მისული ბავშვისთვის უმნიშვნელოვანესია ახალ ,,ოჯახთან“ – კლასთან შერწყმა. კარგად ვიცით, რომ სოციალური უნარები თანდაოლილი არ არის, მათი განვითარება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სკოლასა და მასწავლებელს უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია მათი განვითარებისა და ცხოვრებაში გაცნობიერებულად გამოყენების უნარის გამომუშავებაში. ახალ გარემოში მოხვედრილი ბავშვების ,,არასასურველი ქცევა“ხშირად გამოწვეულია იზოლაციითა და მარტოობის გრძნობით. ბუნებრივია, გვებადება კითხვა – რა ფაქტორები უწყობს ხელს ბავშვებს შორის მეგობრობის ჩამოყალიბებას და რა არის კლასში კონკრეტული ბავშვის იზოლაციის მიზეზი? ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მყარი სოციალური ურთიერთობების მიზეზები მშობლებსა და ბავშვებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება, ოჯახის წევრებს შორის მჭიდრო და თბილი ურთიერთობებია. მოსწავლის პიროვნულ თვისებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური უნარების განვითარებისათვის.სოციალური განვითარება მოსწავლეთა სწავლაზეც ახდენს გავლენას. პიროვნულად და სოციალურად კარგად განვითარებული ბავშვები აქტიურად არიან ჩართული საგაკვეთილო პროცესში, აყალიბებენ და გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას არგუმენტირებულად და შესაბამისად, უფრო მაღალ აკადემიურ წარმატებას აღწევენ.

ბავშვმა რომ თავი არ იგრძნოს იზოლირებულად, საჭიროა, რომ ყურადღება მიიპროს ,,პირადი ისტორიით“, ვინ არიან მისი მშობლები, რა არის მისი საყვარელი საქმიანობა, ჰობი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იზრუნოს მოსწავლეებში

თვითპრეზენტაციის უნარის განვითარებაზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრობლემური ბავშვებისთვის. ამით ისინი იგრძნობენ, რომ მათი ცხოვრება საინტერესოა როგორც პედაგოგისთვის, ასევე თანაკლასელებისთვისაც.

სოციალიზაციისათვის საჭირო უნარების ნაკლებობა ბავშვისთვის სერიოზულ პრობლემებთან არის დაკავშირებული ,ამიტომაც აუცილებელია იმ მეთოდების ცოდნა , რომელთა დახმარებითაც დავადგენთ მოსწავლეთა სუსტ მხარეებს კომუნიკაციაში.მასწავლებელს მრავალნაირად შეუძლია, დაეხმაროს მოსწავლეებს სოციალური უნარების განვითარებაში.

● თვითპატივისცემის უნარის განვითარება

მასწავლებელმა უნდა იზრუნოს მოსწავლეებში დადებითი თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბებაზე. ამ უნარის განვითარებით მოსწავლე თამამად ისაუბრებს საკუთარ თავზე. მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას თითოეული მოსწავლის უნიკალურობას .მნიშვნელოვანია შესრულებულ აქტივობებზე უკუკავშირის მიცემა, სადაც აქცენტი გაკეთდება როგორც ძლიერ მხარეებზე, ასევე იმ მხარეებზე , რომლებიც მეტად განვითარებას საჭიროებს.მოსწავლეზე მასწავლებლის პატივისცემით მოპყრობა პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბებასა და ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას უწყობს ხელს. როცა მასწავლებელი გარკვეულ მოვლენაზე მოსწავლის მოსაზრებით ინტერესდება, ცხადია, ბავშვიც გრძნობს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას . ბავშვისადმი პატივისცემა ვლინდება მაშინაც , როცა მასწავლებელი მოსწავლეს ,,იარლიყებს “ არ აწებებს და სახელით მიმართავს.

● პიროვნული განვითარების ხელშეწობა

პიროვნული განვითარება არის პროცესი, რომელის მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარეობს. იგი აძლევს ადამიანს საშუალებას შეაფასოს საკუთარი უნარ-ჩვევები, დაისახოს მიზნები და ჰქონდეს სწრაფვა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისაკენ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ბავშვის პიროვნულ განვითარებაზე იზრუნოს ოჯახმაც და სკოლამაც. მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშესაწყობად აუცილებელია, რომ ხშირად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, მივცეთ არჩევანის თავისუფლება , პატივი ვცეთ მის მოსაზრებას. პიროვნულ განვითარებას ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული დავალებები. როცა ბავშვი არ არის შებოჭილი და დარწმუნებულია, რომ მისი შეხედულება პედაგოგისათვის ყურადსაღები და საინტერესოა, ცხადია, იაზროვნებს თავისუფლად , შემოქმედებითად, დამოუკიდებლად.

●პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებისათვის აუცილებელია მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება. მასწავლებელს შეუძლია გაარკვიოს, თუ რა ჰობი, ინტერესები ან განსაკუთრებული შესაძლებლობები აქვს პრობლემურ მოსწავლეს და სთხოვოს მას, მოამზადოს პრეზენტაცია მისთვის სასურველ თემაზე. ეს საუკეთესო საშუალებაა იმისა, რომ ამ ბავშვმა მოიპოვოს პოპულარობა კლასში და მისი სრულუფლებიანი წევრი გახდეს.

სოციალიზაციისთვის საჭირო უნარების განვითარებაში ბავშვს მნიშვნელოვნად ეხმარება ჯგუფური მუშაობა. მოსწავლეები შეიძლება დავაჯგუფოდ წყვილებად, ტრიადებად, მცირე და დიდი ზომის ჯგუფებად.მასწავლებელს შეუძლია, პოპულარული ბავშვები დააწყვილოს თანატოლებისთვის შეუმჩნეველ ბავშვებთან, რაც, ცხადია,

დადებითად იმოქმედებს მათზე, აუმაღლდებათ მოტივაცია და გაეზრდებათ თვითშეფასება.

ბავშვისა და მოზარდის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანატოლებთან ურთიერთობა. სწორედ ამ დროს მოსწავლეებს უვითარდებათ ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები,როგორიცაა: მოლაპარაკება, დარწმუნება, ემოციების კონტროლი, პრობლემის მოგვარება, ერთმანეთის აზრის მოსმენა და გათვალისწინება. კვლევის შედეგად გათვალისწინებულია, რომ მოსწავლეები, რომლებიც რეგულარულად უწევენ ანგარიშს სხვა ადამიანების აზრებს, შეხედულებებსა და გრძნობებს, კარგი სოციალური უნარ-ჩვევებით გამოირჩევიან, მეგობრებს ადვილად იძენენ, არ უჭირთ ჯანსაღი კომუნიკაციის დამყარება. ამ უნარების განვითარებას ხელს უწყობს ჯგუფური მუშაობა, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს პროექტებით სწავლებაში.

პროექტებით სწავლება გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობისა და კომუნიკაციის განვითარებას,ხელს უწობს იმ უნარ-ჩვევების განვითარებასაც, რომლებიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოადგება. პროექტზე მუშაობა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები, იაზროვნონ თავისუფლად, შემოქმედებითად, შეიძინონ ახალი ცოდნა, გააანალიზონ, იმსჯელონ, გამოიტანონ დასკვნები.

სასწავლო წლის დასაწყისში გადავწყვიტე მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით პროექტის შინაარსის განსაზღვრა. როდესაც სასწავლო მასალა ახლოსაა მოსწავლეთა ინტერესებთან, სწავლის პროცესი უფრო სახალისო ხდება, რაც ზრდის მათ ჩართულობასა და სწავლის მოტივაციას.მოსწავლეთა ინტერესების დასადგენად შევადგინე სპეციალური ფორმა, რომელიც შეავსეს ინდივიდუალურად.კლასის ინტერესებიდან გამომდინარე გადავწვიტეთ,მოგვემზადებინა პროექტი სახელწოდებით ,, მომავალი ბულინგის გარეშე“. კლასში პოპულარულ ბავშვებთან თანაკლასელებისთვის ნაკლებად შესამჩნევი მოსწავლეები დავაწყვილე და მივეცი დავალება.თავდაპირველად იყო გარკვეული უთანხმოება,მაგრამ მალევე გამონახეს საერთო ენა, გადაინაწილეს დავალებები შესაძლებლობების მიხედვით , დაამზადეს ბუკლეტები და ბრწინვალედ წარადგინეს პრეზენტაცია.ჯგუფური მუშაობა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა,რომ თანატოლებისთვის შეუმჩნეველი ბავშვები პროექტის დაგეგმვის ინიციატორებიც კი გახდნენ.

დასკვნა. პროექტებით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ პასუხისმგებლობას. მოსწავლე ეჩვევა დამოუკიდებელ მუშაობას და თანატოლებთან ურთიერთობას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაში.

ლიტერატურა:

ია კუტალაძე – ,, ეფექტიანი სწავლება: თეორია და პრაქტიკა“ .თბილისი 2010

David W. Johnson, Roger T. Johnson Edythe Johnson Holubee Circles of Learning, Cooperation In The Classroom Fourth Edition. 1993.

Madona Samnidze
Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
Msamnidze1975@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.52

Supporting the promotion of development of personal and social skills in students

Abstract

The paper represents the study of development of personal and social skills in students. We focus on promoting the development of such important skills as: communication, persuasion, managing emotions, solving problems, listening and respecting each other's opinion. Personally and socially well-developed children are actively involved in the learning process, form and express their own opinion in an argumentative manner and accordingly, achieve higher academic success. Tasks focused on developing creative skills contribute to personal development. When the child is not bound and is sure that his point of view is important and interesting for the teacher, he obviously thinks freely, innovatively, independently. One of the important issues that the teacher should pay attention to is the ability of the students to express their emotions and opinions. The freely students talk about their feelings, the better the climate in the classroom.

Relationships among peers play a vital role in the personal and social development of children and adolescents. As a result of research, it has been determined that students who regularly report on other people's thoughts, views and feelings are distinguished by good social skills, make friends easily, and have no difficulty establishing healthy communication. In order to promote the personal development of students, it is necessary to express their opinions often, to give freedom of choice, opportunity to search for new ways of solving problems.

The development of social skills requires a lot of effort. The school and the teacher can make a great contribution to their development and the development of the ability to use them consciously in life. To promote the development of social skills, it is necessary for the teacher to know his class well and to take into account the unique qualities, peculiarities and interests of the students when planning activities, it promotes the development of social skills developing the ability to make decisions independently or with a group.

Project-based learning, in addition to helping students develop cooperation and communication, helps them develop skills that will be useful throughout their lives. Working on a project allows students to show their abilities, think freely, creatively, acquire new knowledge, analyze, discuss, and draw conclusions.

The development of personal and social skills is facilitated by group work, which occupies an important place in project-based learning. Working on a project allows students to demonstrate their own abilities to think

Teaching freely and creatively with projects increases students' motivation, both individual and group responsibility.

Key words: communication, persuasion, managing emotions, solving problems, listening and respecting each other's opinion.